საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ერთობლივი ბრძანება

N 24/04
14.11.2024

24-04-4-202411141455

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 31 მაისის N15/04 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ" და 3^4 ქვეპუნქტების, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა", „ბ", და „პ" ქვეპუნქტების და მე-9 პუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ნ", „ო" და „პ" ქვეპუნქტებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 17 ოქტომბრის და 7 ნოემბრის N27496/10, N30069/10 წერილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 31 მაისის N15/04 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის შერჩევის წესში":

ა) წესის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„13. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მიზნებისათვის უცხო ენის ცოდნის დადასტურება უნდა მოხდეს:

ა) შესაბამისი რეგისტრაციის დასრულებამდე არაუადრეს 6 კალენდარული წლით აღებული შემდეგი სერტიფიკატების საფუძველზე:
ა.ა) ინგლისური ენის შემთხვევაში: TOEFL (90 iBT), IELTS (6.5 მინიმალური საშუალო ქულა), ან Cambridge B2 First (Cambridge English First /FCE)-ის სერთიფიკატი;
ა.ბ) გერმანული ენის შემთხვევაში: TestDaF (TDN 3), DSH (DSH 1), DSD (B2), Goethe Certificate (90-100);
ა.გ) ფრანგული ენის შემთხვევაში: DELF (B2);
ა.დ) იტალიური ენის შემთხვევაში: CILS (B2), PLIDA (B2);
ა.ე) ესპანური ენის შემთხვევაში: DELE (B2);
ა.ვ) პორტუგალიური ენის შემთხვევაში: CAPLE (B2);
ა.ზ) ბერძნული ენის შემთხვევაში: Certificate of Attainment in Greek (B2);
ა.თ) თურქული ენის შემთხვევაში: TYS (B2).";

ბ) წესის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტის „ ე" და „ვ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ე) მაგისტრატურის საფეხურის აპლიკანტების შემთხვევაში, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენაზე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, სწავლების ენის მითითებით, თუკი სწავლების ენად გამოყენებული იყო შესაბამის უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მოქმედი სწავლების ის ენა, რომელზეც სწავლება სურს სტუდენტს წინამდებარე წესის საფუძველზე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაციისას.

ვ) სადოქტორო საფეხურის აპლიკანტების შემთხვევაში:
ვ.ა) საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებაში კვლევითი სტაჟირების გავლის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის საფუძველზე დასწრებულად, კვლევითი სტაჟირების ენის მითითებით, სადაც სტაჟირების ენად გამოყენებული იყო შესაბამის უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მოქმედი სწავლების ის ენა, რომელზეც სწავლება/კვლევა/სტაჟირება სურს სტუდენტს წინამდებარე წესის საფუძველზე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაციისას. კვლევის/სტაჟირების მინიმალური ხანგრძლივობა უნდა იყოს 2 თვე;
ვ.ბ) საუნივერსიტეტო დონეზე პედაგოგიური საქმიანობის/სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის საფუძველზე, კერძოდ, არანაკლებ 2 სემესტრის განმავლობაში, თითოეულ სემესტრში მინიმუმ 5 კრედიტის დატვირთვის მქონე კურსის წაყვანა, სადაც სწავლების ენად გამოყენებულია შესაბამის უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მოქმედი სწავლების ის ენა, რომელზეც სწავლება სურს დოქტორანტს წინამდებარე წესის საფუძველზე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაციისას.
ვ.გ) ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენაზე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, თუკი სწავლების ენად გამოყენებული იყო შესაბამის უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

საგანმანათლებლო პროგრამაზე მოქმედი სწავლების ის ენა, რომელზეც სწავლება სურს დოქტორანტს წინამდებარე წესის საფუძველზე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაციისას.";

გ) წესის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე „თ" და „ი" ქვეპუნქტები:

„თ) თსუ-ს ერთობლივი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები თავისუფლდებიან შესაბამისი (რომელი უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებიც არიან) უცხო ენის ტესტირების ვალდებულებისგან, თუკი მობილობა ხორციელდება ერთობლივი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის პარტნიორ უნივერსიტეტში და პროგრამის თანა-განმახორციელებელი უცხოური უნივერსიტეტი არ ითხოვს ერთბლივი პროგრამაზე რეგისტრირებულ სტუდენტებს შორის შერჩეული სტიპენდიანტებისგან უცხო ენის ტესტირების დამადასტურებულ ცნობას.

ი) სამივე საფეხურის სტუდენტებზე გათვალისწინებული ყველა ის პირობა, რომლის საფუძველზეც აპლიკანტები გათავისუფლებული არიან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისგან, ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მასპინძელი უნივერსიტეტი არ ითხოვს შერჩეული სტიპენდიანტებისგან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას.";

დ) წესის მე-4 მუხლის მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„19. ამ მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

		მინიმალური ქულა	მაქსიმალური ქულა
აკადემიური მოსწრება	*GPA (2.5-4.0) ქულის მისაღებად მაჩვენებელი მრავლდება 10-ზე*	25	40
კომპეტენციები (0-40 ქულა)	*გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თავსებადობა სტუდენტის საგანმანათლებლო (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ან/და კვლევით (დოქტორანტურა) მიზნებთან*	0	15
	მოტივაცია	0	15
	ზეპირი პრეზენტაცია	0	10

თსუ-ს მიერ ადმინისტრირებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება (0-10 ქულა)	*საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობის გამოყენება (თსუ-ს მიერ შეთავაზებული ან ადმინისტრირებული გაცვლით და მობილობის პროგრამების ფარგლებში)*	*0 – ორჯერ საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობის გამოყენება სწავლების მიმდინარე საფეხურზე*	*5 – ერთხელ საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობის გამოყენება სწავლების მიმდინარე საფეხურზე 10 – საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილების არ ქონა*
დამატებითი მხარდაჭერა ნაკლები შესაძლებლობების მქონე აპლიკანტებისთვის (0-10 ქულა)	*შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული*	0	2
	სოციალურად დაუცველი პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს განაცხადის მომენტში კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით)	0	2
	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით)	0	2
	არასრულწლოვანი ბავშვის მშობელი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს არასრულწლოვანი შვილის დაბადების მოწმობით)	0	2
	ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი	0	2
სულ			100

“;

ე) წესის მე-4 მუხლის 28-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,28. ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე და მათზე დაყრდნობით,

ყოველ ცალკეულ სტუდენტს, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უფლება აქვს, თუ სწავლების ერთ საფეხურზე მისი უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობების ჯამური ვადა არ აღემატება 12 კალენდარულ თვეს, რომელიც შესაძლოა განაწილდეს მაქსიმუმ 2 სემესტრზე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში და 3 სემესტრზე დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული სტუდენტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით შერჩევისათვის რეგისტრაცია და შერჩევა ავტომატურად გულისხმობს ამ პუნქტში მოცემული ვადის გადაცილებას (დარღვევას), სტუდენტს შეეზღუდება შერჩევის პროცესში მონაწილეობა.“.

2.ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3.ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან.
5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ჯაბა სამუშია

რექტორი

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი